9858.
ეროვნული ბიბლიოთეკა
985ვ.8.

№ 7
ფასი 10 მანათი

# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4-73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, თებერვლის 22 | გამოსვლა 1920 წ.



ნიკო ნიკოლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთ ღმერთს...

„მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი მეომრობდეს-“ო, სთქვა ერთმა ჩვენმა მწერალმა, როდესაც საქართველო საკუთარ ჭერქვეშ აპირებდა შემოკრებას. ამ დროს ცხოვრების ყოველი მხარის განვითარება იყო საჭირო, ყოველი დარგის გათავისთავადება, საერთოსთან შეთანხმებით საკუთარის გზით სიარული.

დღეს ჩვენი ერი სწორედ იმ ხანაშია, რომ ყოველ დარგს ჩვენის სულიერ-ნივთიერი აღორძინებისას საკუთარი მუშაკი უნდა ჰყავდეს.

ახლო წარსულში, როდესაც ჩვენი ცხოვრების ბატონ-პატრონი უცხო ძალა იყო, ჩვენი მამულიშვილ-მოღვაწე ერთსა და იმავე დროს ბანკირიც იყო, რედაქტორ-ჟურნალისტიც, მწერალიც, საზოგადო საქმეთა მესვეურიც და სხ. ამ დროს ჩვენი მსახიობიც, იშვიათ გამონაკლისს გარდა,—ჯერ სხვადასხვა სამსახურში ხარჯავდა ძალ-ღონეს, მერე, დაქანცული დაუტრიალდებოდა ხოლმე სცენას. ესენი უფრო უბრალო სცენის მოყვარენი იყვნენ ვიდრე საგანგებო ქურუმნი ხელოვნებისა.

ამიერიდან ეს აღარ უნდა იყოს. ყველაზე უმეტესად ხელოვნების ქურუმნიც მხოლოდ ერთს ღმერთს უნდა მსახურებდენ, ერთს უკმევდენ საკმეკველს—მთელ თვისს სულსა და გულს.

სამწუხაროდ და სავალალოდ დღესაც ჩვენში თეატრისა და დრამატიული ხელოვნების სამსახური ჯერ კიდევ სასხვათაშორისო საქმედ არის მიჩნეული. ამ საქმეების წარმოებას ანდობენ ათასის საქმით დატვირთულ ადამიანებს, ან კიდევ მსახიობი ხელოვნების გარეშე სხვა საქმესაც ეძებს, რომ არ დაიმშეს, ან დილიდან საღამომდე, საღამოდან დილამდე გრძნობა-გონება ერთზე აქვს მიპყრობილი რა გზით მოიპოვოს საზრდო.

დროა ჩვენი ხელოვნების მესვეურების სადეკორაციო ფახი-ფუხს ბოლო მოეღოს და ხელოვნების მსახურიც ისეთს პირობებში ჩასდგეს, რომ იგი მხოლოდ ერთს ღმერთს მსახურებდეს..

ეს მით უმეტეს ადვილი მოსახერხებელია, რომ, - როგორც ისმის,—ქართულ დრამას ბინა ეძლევა. მაშ, დაე ამ დრამის მსახურსაც პური არსობისა მიენიჭოს. დედაქალაქმა უნდა შეჰქმნას ქართული სათეატრო ხელოვნების აკადემია, თუ გვინდა განაპირანი უფრო ნაყოფიერად ამუშავდენ.

* * *

ახლო ხანში შესდგება „ქართველ მწერალთა კავშირის“ ყრილობა ანუ სამეფოში სამეფოს კონგრესი.

სამწუხაროდ, რამდენადაც ესენი სხვათა ცხოვრების კილოს მიმცემნი არიან, იმდენად თავის საქმეთა მოუწესრიგებელნი...

ორი-სამი წელიწადია რაც ეს კავშირი შესდგა, მაგრამ ვერ იქმნა ქართველ მწერალთა სულიერი გაერთიანება ვერ შესძლო.

აქ ნახავთ ხელოვნურ შეკოწიწებას, არა ერთსულოვნებას.

აქ ნახავთ საკუთარი ღმერთის მივიწყებას, უცხო ღმერთის ბრმად „თაყვანებას“..

ქართველი მწერალი და ქართული მწერლობა ჯერ კიდევ მზრუნველს ელის...

ამაზე ჰმართებს დაფიქრება ყველა ქართველ მწერალს.

ვისურვოთ, რომ ეს მზრუნველი მალე გამოჩენილიყოს...

იოსებ იმედაშვილი

# სტუდენტის დღეს

კვლავ საქართველო ნაზად ირთვება
ნეტარ დროშების ანაფერებით,
თვით აღმოსავლეთს შეეკილება
სიმბოლიური გრძნეულ ფერებით.
უიმედობის სევდა იმსხვრევა
და რწმენას ჰმოსავს თეთრი კანდელი;
ვერ ვაფრქვევ სიტყვებს მარგალიტისას,
ო, რაოდენი კი მაქვს სათქმელი!
როგორ უხდება პატარა ივერს
„თავისუფლების ნავთსაყუდელი“!
ჰგრგვინავს ილია. . მღერის აკაკი...
ჩვენთან აოს იმათ ლანდის ნათელი,
და ვხედავ ირგვლივ ახალგაზდური
შემოქმედების სასწაულია:
ღნება, იმსხვრევა სევდის ყინული
და ჩემს გულშიაც გაზაფხულია!..

ტასო რუისელი

# გული კვნესის...

ზღვა ბობოქრობს, გრგვინავს, დრკება მთა და ბარი,
გული კვნესის—გმინავს, ჰბერავს სევდის ქარი,
და სიცოცხლის ყვავილს ყინვის სუსხი აზრობს,
ჩემს პატარას,—ჯერ ჩჩვილს—აზარებს და აკრთობს...

ეჰ, ვინ იცის როდის ათოვდება სხივი,
ჯერ მზე არ ამოდის, შვაღამეა ცივი...
და ზღვა ისევ გრგვინავს, დრკება მთა და ბარი,
გული კვნესის-გმინავს, გული სევდით მკვდარი...

ბ. პელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ალ. ვახ. ჯ.-ორბელიანი

მწერალი და გამოჩენილი მამულიშვილი, დამწერი პიესა „დავით ალმაშენებელის“, „მეფე ერეკლე პირველის დრო-ისა“, „ალამაჰმადხანის შემოსევის“ და სხ., რომელმაც გასული საუკუნის დასაწყისში თანამემამულეთ მამულიშვილური გრძნობა ჩაუნერგა და სამშობლოს სიყვარულისკენ მოუწოდებდა, წევრი ფარული საზ-ისა.

# სინიდისი

(დოროშევიჩისა)

დიდი ხნის ამბავს მოგახსენებთ, იმ დროის ამბავს, როდესაც ისტორიას არავინა სწერდა.

სისულელეს მაშინაც სჩადიოდნენ, მაგრამ ჩამწერი არავინ იყო და იქნება ამიტომ არის, რომ ბრძნად მიგვაჩნია ჩვენნი ძველნი.

სწორედ იმ დროს დაიბადა სინიდისი.

ღამე დაიბადა, როდესაც ბუნება ფიქრის დუმილით იყო მოცული და ისე მიუუხებულიყო, რომ სიოც აღარ იძვროდა.

დღე სიცოცხლისა და ხმაურობისაა, ღამე--ფიქრისა და მყუდროებისა.

ღამე დაიბადა სინიდისი, მთვარესავით ფერმკრთალი, მაგრამ იმისთანა თვალები ჰქონდა, რომ გულისგულში ჩასწვდებოდა ვისაც შეჰხედავდა.

და გაუდგა გზას. ხან კარგად იყო, უფრო ხშირად კი ცუდად.

მარტოდ-მარტო იყო, განდეგილივით.

დღე ყველა ერიდებოდა, იმისთვის ვისა სცალოდა? აქ შენობაო, იქ ხვნა თესვაო.

შეუტევდნენ ხოლმე, ვისაც მიუახლოვდებოდა:

— ეჰ, რა შენი გვცხელა? ვერა ხედავ, ოფლში ვიწურებით? რა დროს მასლაათია? ამ ალოს შენ მომიხნავ, თუ?

ღამე კი არავისი ერიდებოდა.

მდიდარ ფაიფურის სახლშიც შედიოდა, ღარიბ დერწმის ქოხშიც.

შევიდოდა მძინარესთან, ოდნავ ხელს ახლებდა. იმასაც გამოეღვიძებოდა, დაინახავდა ბნელაში ვარსკვლავივით ელვარე სინიდისის თვალებს და ჰკითხავდა:

— რა გინდა?

— რა ჰქმენ შენ დღეს? ჰკითხავდა ჩუმად სინიდისი.

— დღეს? საიმისო, მგონი, არაფერი.

— აბა დაფიქრდი.

— ჰო, მართლა...

სინიდისი სხვაგან მიეშურებოდა. გაღვიძებული კი რჩებოდა თვალღია, ფიქრით და მხილებით ძილგამკრთალი,—რა დამემართა, რა ღმერთი გამიწყრაო.

მიწყნარებულ ღამის სიმშვიდეში ჰხედავდა, რაც დღიურ ხმაურობაში გამოჰპარვოდა და ძილი აღარ ეკარებოდა.

ბევრს გაუფრთხო სინიდისმა ძილი, უძილობას ჩიოდა დიდი და პატარა.

მდიდრებსაც კი ვეღარა უშველეს რა ექიმებმა.

ბრძენი ლი-ხან-ძე ხომ ტანჯული და წამებული იყო უძილობისაგან.

ბრძენ ლი-ხან-ძეს ყველაზედ მეტი ფული ჰქონდა, ყველაზედ მეტი სახლები, ყველაზედ მეტი მამული.

იმდენი ჰქონდა, იმდენი, რომ ხალხი დარწმუნებულიყო,—რაკი ყველაზედ მეტი საჩხო აბადია, ჭკუაც ყველაზედ მეტი ჰქონიაო, და ამიტომ ბრძენს უძახდნენ.

ყველაზედ მეტი ჰქონდა და ყველაზედ მეტადაც იტანჯებოდა; უძილობისაგან არ იცოდა, სად ეძებნა განკურნება.

ყველას იმისი ემართა; ყველა იმისთვის შრომობდა, რომ იმისი ვალი თუ არა, სარგებელი მაინც გადაეხადნა.

ბრძენი იყო და ბრძნულად მოუწყო თავისი საქმე.

დაიჭერდა ვისმე დამშეულს, პურის მოსაპარავად მასულს, და იმდენსა სცემდა, იმდენს, რომ სხვას აღარავის გაებედნა.

დღე იქნება ბრძნულიც იყო ამგვარი დასჯა ქურდისა, ხალხი ჰხედავდა და ჭკუასა სწავლობდა; ღამე კი ბრძენს სულ სხვა ფიქრები აწუხებდნენ.

— რადა ქურდობს ი უბედური? იმიტომ, რომ სიმშილითა კვდება. რად არის მერმე მშიერი? იმიტომ, რომ თავისთვის ვეღარ მოუცლია, მთელ დღეს ჩემს საქმეს ვაკეთებინებ.

და უკვირდა ბრძენ ლი-ხან-ძეს.

— უცნაურია, თქვენმა მზემ! მე გამქურდონ და მტყუვანიც მევე ვიყვე?!

უკვირდა და ძილი აღარ ეკარებოდა.

ისე შეაწუხ უძილობამ, რომ ადგა და გამოაცხადა:

— უკანვე დავუბრუნებ ვისიც რა მაქვს, სახლებსაც, მამულსაც, ფულსაც.

მაგრამ უნდა გენახათ, რა ყაყანი ასტეხეს ბრძნის ნათესავებმა და მემკვიდრეებმა:

— მგ სულ სინიდისის ბრალია! გაგიჟდა, დაიღუპა კაცი!

ექიმებმაც იგივე ბრძანეს.

შიში მოერია ყველას:

— ბრძენი რომ ასე გადარია, ჩვენ უბედურებს რას გვიზამსო?

დიდი, პატარა, ყველა სინიდისს უჩიოდა:

— მომკლა უძილობამაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიბნი უფრო მეტად შეშინდნენ:

— ჩვენ რომ ჭკუა გვქონოდა, ხომ არც ასე უბედურნი ვიქნებოდით. ჯიბე ცარიელი... თავი ცარიელი.. ვაი ჩვენი ბრალი!

მაშინ კი დაფაცურდნენ მდიდრები:

— ხედავთ, როგორ აწუხებს ი წუწკი საწყალ ხალხს! უნდა ვუშველოთ რამე, თორემ დაიღუპა ქვეყანაო.

———

იმ დროს ნანკინში ერთი ფრიად ბრძენი და მსწავლული კაცი ცხოვრობდა, ა-პუ-ო, იმდენად ბრძენი და მსწავლული, რომ დარი არა ჰყავდა მთელ ჩინეთში.

— მოდით, ა პუ ოსა ვკითხოთ. თუ გვიშველის, ისევ ის, თორემ წასულია ჩვენი საქმეო.

კაცები გაგზავნეს, ძღვენი მიართვეს, მსწავლულის წინ მრავალჯერ მუხლი მოიყარეს.

— გვიშველე რამე! უძილობის წამალი გვასწავლე:

მოისმინა ა პუ ომ ხალხის ვარამი, ჩაფიქრდა და უთხრა:

— ვიცი, ვიცი! სულ იმისი ბრალია, იმ... არა რა უფლებითა ჰბედავს, რომ პატიოსან ხალხს აწუხებს და ძილს უკრთობს?! ძნელი, ძნელი სამსახურია, მაგრამ მაინც ეშველება.

— შენ გიშველა ღმერთმა!

გაიღიმა ა-პუ-ომ და ბრძანა:

— კანონები უნდა შევადგინოთ. რა იცის უვიცმა, უბირმა ხალხმა, რა არის კარგი, ან ავი? კანონები უნდა შევადგინოთ და დაწვრილებით აგნუსხოთ, რის ქმნა შეიძლება და რისა არა. მანდარინებმა ზეპირად დაისწავლონ. ვისაც გაუჭირდეს, მივიდეს და მანდარინს დაეკითხოს. თუ ქალია, მაშინ მოვიდეს თქვენი სინიდისი და შეკითხოს, დღეს რა ჰქმენი? — რა ვქენი და ის ვქმენი, რაც კანონებში სწერია და ნებადართულია! ხალხმა მანდარინებს გასამრჯელო უნდა აძლიოს: გიჟები კი არ არიან, რომ კანონებით გაიტენონ თავი.

ყველას იამა.

მანდარინები, რადგან კანონების დაზეპირება უფრო ადვილია, ვიდრე მიწის ხვნა, ან სამჭედლოში ჩაქუჩის ტრიალი; სხვები კიდევ იმიტომ, რომ მანდარინთან ერთი წუთი ბაასი და სასყიდლის მირთმევა უფრო ადვილია, ვიდრე მთელი ღამე სინიდისის მხილება და უძილობა.

შეადგინეს კანონები. ანუსხეს, რის ნება აქვს ადამიანს, და რისა არა.

მსწავლული ა-პუ-ო მანდარინთ უხუცესად დანიშნეს.

დამშვიდდა ქვეყანა.

გაუჭირდებოდა ვისმე რამე, მივიდოდა მანდარინთან, წინ ფულს დაუდაგებდა და შესთხოვდა:

— ერთი გადამალე შენი კანონები, შეიძლება, თუ არა?

ჩხუბი მოუვიდოდათ რაზედმე, მანდარინთან მიეშურებოდნენ, ორივეს ძღვენი მოჰქონდა.

— აბა ი კანონები გასინჯე, ვინ არის ჩვენში მართალი?

უძილობას აღარავინა ჩიოდა, გარდა იმ ღატაკების, რომელთაც არც ფული ჰქონდათ მანდარინისთვის, არც ძღვენი.

სხვანი კი...

გამოაღვიძებდა ვისმე სინიდისი. ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა.

— რას ჩამცივებიხარ? მე ისე ვიქცევი, როგორც კანონებში სწერია,

გადაბრუნდებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა.

ბრძენ ლი-ხან-ძეს, რომელიც ყველაზე მეტად იტანჯებოდა უძილობისაგან, ტკბილად ეძინა და სინიდისს მასხარად იგდებდა.

— ოჰ, მობრძანდი, კეკლუცო! ამბავი?

— აკი ამბობდი, უკანვე დაუბრუნებ ყველაფერსაო?

— მერე ვინ მომცა მაგის უფლება? კანონებში რა სწერია? „ადამიანის ქონება იმასა და იმის შთამომავლობას ეკუთვნის“. სხვის ქონება მე როგორ უნდა დავარიგო, როდესაც პატრონები ნებას არ მაძლევენ? ან ქურდობა უნდა ჩავიდინო, რომ სხვის საკუთრება დავარიგო, ან მთლად გავგიჟდე, რომ ჩემს თავს დავაკლო სხვების მივართვა... მერმე იცი, რა სწერია კანონებში? „ქურდს და გიჟს ჯაჭვი შეაბით და ციხეში დაამწყვდიეთო“. მოდი, მომშორდი, ძილს ნუ მიფრთხობ. შენც რომ დაიძინებდე, თუნდა საუკუნოდაც, ძალიან კარგს იზამდი.

გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა.

და საცაკი მივიდოდა, ყველგან იგივე ესმოდა:

— მე რა ვიცი? როგორც მანდარინები ბრძანებენ, მეც ისე ვიქცევიო.

მივიდა მანდარინთან.

— ყურს აღარავინ მიგდებს. შემიძულეს, ამითვალწუნეს.

— ან რა საჭირო ხარ, მეტადრე უვიც ხალხისათვის! შენი ნათქვამი შეიძლება კარგად ვერ შეიგნონ, და ჩვენ კანონებში კი შავი მელნით ყვითელ ქაღალდზედ ბავშვისთვისაც ნათლად არის გამოხატული ავიცა და კარგიცა, კანონიერიცა და უკანონოცა. მაშ ვის რადად უნდიხარ? ტყუილად კი არ მიანიჭეს ა-პუ-ოს მანდარინთ უხუცესობა. შენი ჯავრი იმან ამოგვყარა.

ბოლოს თვით ა-პუ-ოსთან მივიდა. ოდნავ შეეხო და გაჩერდა.

წამოვარდა განრისხებული ა-პუ-ო.

— როგორ გაბედე ღამით სხვის სახლში შემოსვლა? კანონი არ იცი, თუ? „ვინც ღამით სხვის სახლში შეიპარება, ქურდად იქმნეს ცნობილი და ციხეში დამწყვდეული“.

— მე შენთან საქურდავად არ მოვსულვარ. მე სინიდისი ვარ.

— სინიდისი კი არა, კახპა ხარ! კანონებში სწერია: „თუ ღამით უცხო კაცთან დედაკაცი შეიპარა, კახპად იქმნეს ცნობილი და ციხეში დამწყვდეული“. თუ ქურდი არა ხარ, მაშ...

— რას მიედ-მოედები შენი კანონებით?

— მაშ შენ კანონების წინააღმდეგი ბრძანდები?! ესეთ მოხსენებული გვაქვს: „ვინც კანონების დარღვევას ცდილობს, მეამბოხედ იქმნეს ცნობილი და ციხეში დამწყვდეული“. ბიჭებო! გაბაწრეთ ე მაწანწალა! ბორკილი მაგას! ციხეში დაამწყვდიეთ და იქ ეგდოს ვითა ქურდი, მეძავი და არსებულ წესწყობილების მტერი და დამრღვევი.

— ბორკილი დაადეს სინიდისს და ციხეში დაამწყვდიეს. მას შემდეგ დამწყვდეულია და აღარავის აწუხებს. ის მაგრადა ჰყავთ შებორკილი, რომ აღარც-კი ახსოვთ, თუ სინიდისიც არის ქვეყანაზედ.

და სძინავთ მშვიდად, ტკბილად, უსინიდისოდ.

**ივ. მაჭავარიანი**



**ვარდენ ჯავახის-ძე გოცირიძე**

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, ძველი სახალხო მუშაკი. 1883 წლიდან მგოსან იოსებ დავითაშვილთან ერთად ქარხანა ჰქონდა თელავში და მოწინავე მუშად ითვლებოდა. იოსებ დავითაშვილის სიკვდილის შემდეგ ხელოსნობის მასწავლებლად გამწესდა თიონეთის ორკლასიან სასწავლებელში: საკუთარის ხელით ააშენა სოფ. ბარისახოს სკოლა და ეკლესია. 1902 წ. ქ. მერვას (ტაშკენტის ოლქ.) გაიწვიეს მასწავლ, 1917 წ. სამშობლოში დაბრუნდა. გარდ. 1919 წ. თებერ. 19—შავი სახადით. 62 წ. იქნებოდა. 80 –90-იან წლებში მდაბიო ხალხში ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითცნობიერება შეჰქონდა

---

პიესის წერის ტეხნიკაც უნდა განახლდეს...

თანამედროვე დრამის ტეხნიკა მოითხოვს: დიალოგების შემცირებას მინიმუმამდე, მონოლოგების სრულიად ამოშლას, მეტ მოქმედებას, სიცოცხლეს, ნაკლებ ლაპარაკს, ნაკლებ ფანტაზიას, ფილოსოფიას და მეტ სინამდვილეს. მაყურებელი თვითონ უნდა მიხვდეს პიესის იდეას და არა პიესის მომქმედმა პირებმა მათ უჩიჩინონ.

ჩვენი ახალგაზდა დამატურგები არც ერთ აღნიშნულ წეს არ იცავენ.

მათი გმირები რეალური ტიპები არ არიან, სულ შეთხზულია.

ისინი უფრო ლექტორებს წააგავან, რომელნიც სახჩობელას წინ დამშვიდებით და და დალაგებით ლექციას კითხულობენ სოციალიზმის შესახებ: არც განცდა, არც გრძნობა, არც სინამდვილე; ფილოსოფია თავისებური რამდენიც გნებავთ. უბრალო გლეხს, რომელსაც „პადოშვიანი“ ფეხსაცმელი თავის სიცოცხლეში არ ჩაუცვამს, კანტის ბრძნული ენით ალაპარაკებენ.

მოქმედება?

ჯერ ხომ მაყურებელს მონოლოგებით სიცოცხლეს მოაბეზრებენ, შემდეგ საქმე მიდგება „მოქმედებაზე“: აბა, მაშინ უყურეთ ხანჯლების და რევოლვერების ტრიალს. მთელი არსენალი ამუშავდება სცენაზე გმირები ერთმანეთს ახჩობენ, თავს ჰკვეთავენ, წელებს გარედ აყრევინებენ და სხ.. ასე რომ მაგარი ნერვების მაყურებელი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ამ სეირს უყუროთ.

ეხლა კომედიებზე.

კომედიებს მართლაც კომიკურად სწერავენ. გაუგონიათ, კომედიამ სიცილი უნდა გამოიწვიოს მაყურებლებლებშიო და მართლაც მათი კომედიები სიცილს იწვევენ მაყურებლებში,—არ გეგონოთ თვისი იუმორის წყალობით, არამედ დასცინიან თვით ავტორებს.

მთელი ბაზრის ლექსიკონი და პორნოგრაფია გადატანილია მათ კომედიებში. ჟარგონი პირველ ხარისხზეა.

დღეს, როდესაც ჩვენი მიკიტანი, ან ყასაბი ულვაშს ინგლისურ გემოვნებაზე იპარსავს და დღესასწაულებზე ტრადიციონულ ჩოხის მაგიერ, გაბერილ ტანზე ვიზიტკას იცვამს, წუღების მაგიერ ამერიკული ფეხსაცმელები აცვია—საკითხავია, რაზე დასჭირდათ ჩვენ კომედიების დამწერთ, სუნდუკიანცას და ცაგრლის დროების დაბრუნება?

რა საჭიროა შარჟი?

როდესაც ჩვენ ცხოვრებაში იმდენი მასალაა კომედიისათვის?

კომედიამ უნდა გამოიწვიოს მაყურებლებში ჯანმთელი სიცილი...

იგი უნდა სდევნიდეს საზოგადოების ყველა უარყოფით მხარეებს: მექრთამეობას, სახელმწიფო ქურდობას, ცრუ-სოციალისტობას, სპეკულიაციას და სხ. მათი კომედიები კი თავის ჟარგონით უფრო ხრწნის ჩვენს საზოგადოებას.

იმედია, ახალგაზდა დრამატურგნი არ გაგვიწყრებიან

გვიხარია კიდევაც, რომ სურვილი და ხშირად ნიჭიც პიესების წერისა გამრავლდა.

ჩვენი ღარიბი დრამატურგია, რასაკვირველია, ნატრობს და საჭიროობს ახალ შემოქმედების ძალებს.

მაგრამ ყველა ეს ცოდნა უნდა ვითარდებოდეს მთლიანობის და მხატვრულ ფარგლებში, რომ მაყურებლებში გაალვიძოს არა დაცინვა და სიძულვილი, არამედ ესთეტიკის გემოვნება და სიმპატია ახალ შემოქმედებისადმი.

**სვ. წერეთელი**

# თეთრი გედი

ოცნებითა გატაცებულს
ჩამეძინა რამე მცირე;
ძილში ვნახე თეთრი გედი,
ხელი ვტაცე, დავიჭირე.
ხარბად გულში ჩავიხუტე,
მეტის გრძნობით დავიყვირე...
გამეღვიძა. აღარ მყავდა
თეთრი გედი და ვიტირე.

**დ. ლუკაშვილი**



**ქალ. ოზურგეთში** თებერვლის პირ. რიცხვებში შესდგა ჯარისკაცთა და გვარდიელთა წარმომადგენელთაგან კულტურულ-განმანათლებელი სექცია. სექციაში შედიან: გურიის შეიარაღ. ძალთა უფროსი პოლკ. ცომაია, გურ. სახ. გვარდიის საოლქო შტაბის თავმჯდომარის ამხ. მიხ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაქუნაშვილი, წევრი-მდივანი რ. ჩხაიძე, გვარდიელი შალვა ჩხაიძე და მე 4-ე ქვეითა ბათალიონის ლეიტენანტი კოპალეიშვილი. ამ დღეებში ხსენებულმა სექციამ ერთ ერთ სამხედრო შენობაში მოაწყო კოხტა სცენა. გვარდიელები და ოფიცრები ამზადებენ წარმოსადგენად გ. ერისთვის „სამშობლოს". აზრად აქვთ მოაწყონ ჯარისკაცთა და გვარდიელთათვის წიგნთსაცავი. იმედია საზოგადოება არ მოაკლებს ამ სიმპატიურ დაწესებულებას თავის ნივთიერსა და ზნეობრივ თანაგრძნობას. **გიორგი ლ.**

**დ. ცაგერში** ლეჩხუმის სამაზრო ერობის თაოსნობით იანვრის 24 სტუდენტთა დღის მომწყობ კომისიაში არჩეულ იქმნა ი. ხონელიძე, ნ. ქათარაძისა, ი. ახვლედიანი, ვ. სვანიძე, ვ. გელოვანი, ც სანთელაძისა და ბ. მანაგაძე. კომისიის გამომუშავებით; 1) 26 იანვარს ჩამოატარეს საძი ყულაბი, რომლითაც შეგროვდა 1891 მ. 45 კ. ამაში ყალბი აღმოჩნდა 179 მ 2) ხელმოსაწერი ფურცელით შეგროვდა 4400 მ. 3) სალამოზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა ერობის თავმჯდომარე ამხ. ი. ხონელიძემ უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე. სიტყვა შინაარსიანი. ორატორმა ვრცლათ განმარტა ქართული უნივერსიტეტის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ქართველ ახალგაზდობისათვის. მეორე სიტყვაში ვ. ასათიანმა გაატარა პარალელი ძველი რუსეთის უნივერსიტეტების და საქართველოს ახლად დაარსებულ უნივერსიტეტის შორის. ხალხი კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა. 4) დაიდგა „რაც გინახავს ველარ ნახავ" და ბოლოს სიმღერები.

წარმოდგენიდან დარჩა 2579 მ. სულ შემოვიდა 8870 მ. 45 კაპ. დაიხარჯა: სცენისათვის 396 მ. აღმოჩნდა ყალბი 179 მ. და ფულის გადასაგზავნი 84 მ სულ 575 მ. დარჩა წმინდა 8295 მ. 45 კ., რომელიც გაეგზავნა სტუდენტთა დღის მომწყობ მთავარ კომისიას. **ვი—ხძე**

**არსენალის თეატრში** შაბათს, 7 თებერვალს გაიმართა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება-"ს საღამო. პირველ განყოფილებაში ჟურნალის რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა ხელოვნებაზე. იგი მდაბიო ხალხური ენით შეეხო ხელოვნების მნიშვნელობას. „როგორც საჭმელია ადამიანისთვის საჭირო, ისე გონებრივი საზრდო, გონებით ამაღლება"ო სთქვა მან. საზოგადოებამ იმედაშვილი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. მეორე განყოფილებაში დადგმულ იქმნა ა. ცაგარლის უკვდავი პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ". პიესაში მონაწილეობდენ ძველი სცენის მოყვარენი და ყველამ, გარდა ჩხიკვიშვილისა (დავითი), თავთავისი როლები კარგად შეასრულეს. საღამოდან დარჩა 4150 მან, რაც გადაეცა „თეატრი და ცხოვრება"ს რედაქციას საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად. წარმოდგენაში მონაწილეობდენ: *)

ქ-ნნი მარგველაშვილი, გელოვანი; ბ-ნი ლ. ბალაშვილი, გოჩიტაშვილი, დ. მელაშვილი, პ. ბეგიჯანოვი, დ. ჯავახოვი, შ. ჩხიკვიშვილი, მაზიაშვილი, მაკაროვი, კარკიაშვილი, გ. მიქელაძე, ს. ქიტაშვილი და სხ.

**შალვა გორისელი**

**ბაღდადში** წინეთ ზაფხულობით იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ ამ მოვლენას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. შარშან მაისში კი ლევან კუჭუხიძის და დათიკო ხაზემცოვის თაოსნობით და ადგილობრივ ინტელიგენციის დახმარებით ბაღდადში დაარსდა მუდმივი თეატრი. შესდგა სცენის მოყვარეთა კავშირი, აირჩა გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობამ შემოიღო ოქმების წიგნი სადაც დაწვრილებით იწერება ყოველი, წარმოდგენის და სხდომების ანგარიშები, შემოიღო შემოსავალ-გასავლის წიგნი; მანვე მოაწყო დამსწრე საზოგადოებისთვის საჯდომი ადგილები. შეიძინა სცენაზე ჩამოსაფარებელი ფარდა, დეკორაციები და სხ. და ამგვარად უკვე შესაძლებელი შეიქნა ბაღდადში სისტემატიურად წარმოდგენების მართვა. საზოგადოებაც თანაგრძნობით ეკიდება თეატრს და წარმოდგენებს ბევრი ხალხი ესწრება. სცენის მოყვარეებში არიან სასცენო ნიჭით დაჯილდოვებული ძალები. ამ ბოლო დროს სასცენო მოღვაწეთა ჯგუფს მიემატა ცნობილი სახალხო მოღვაწე გიორგი ჯანდიერი, რომელიც რეჟისორობს დასს და მასთან დიდი დაკვირვებული და ნიჭიერი თამაშით როგორც დრამაში ისე კომედიაში საზოგადოების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

საზაფხულო სეზონი დაიწყო 18 მაისს და დამთავრდა 27 ეკენისთვეს. ამ ხნის განმავლობაში გაიმართა 18 წარმოდგენა, აქედან 3 საქველმოქმედო. სულ შემოვიდა საზაფხულო სეზონში 16547 მან. 65 კაპ. საზამთრო სეზონის პირველ ნახევარში 26 ოკტომბრიდან 23 ნოემბრამდი გაიმართა 5 წარმოდგენა, აქედან ერთი საქველმოქმედო მიზნით. ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა 5246 მან.; ამას გარდა სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართა ორი საქველმოქმედო წარმოდგენა ადგილობრივ ქალთა სკოლის და მოსწავლის შ. მ—ძის სასარგებლოდ. ქუთაისის დრამატიულ დასის არტისტებმა გამართეს ერთი წარმოდგენა. X

**ქ. ზუგდიდში** იან. 26 ა. წ. გაიმართა გრანდიოზული საღამო, „სტუდენტის დღის" აღსანიშნავად: 1) ექ დოსტოქარის ბ-ნ ანდ. პატარაიას ლოტბარობით იმღერეს ეროვნული ჰიმნი; 2) ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზიის ქართულ ენის მასწ. სიმონ გოგიჩაიშვილმა წაიკითხა ლექცია უნივერსიტეტის დაარსებაზე და მისი დღის მნიშვნელობაზე. 3) ქ-ნ ვ. ქარდავას და ჩიქოვანის, ბ-ნი ი. ბოხუას, კ. ყიფიანის, ნ. ბუკიას, ვ. ჯიქიას და პ მეუნარგიას მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა კომ. 2. მოქ. „მოტყუებულნი." გამგედ იყო გიმნაზიის დირექტორი მექი კობახიძე. 4) ექიმ. ა. პატარიას ხელმძღვანელობით შემდგარმა გუნდმა შეასრულა სხვადასხვა ქართული სიმღერები, რაიც ძლიერ მოეწონა დამსწრეთ. 5) გერმანულ ენის მასწავლებელმა ქალმა ზინა ჟორდანიამ მშვენიერად იმღერა რამოდენიმე რუსული სიმღერა. მისმა გამოსვლამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება; 6) ა. პატარაიას მოზარდმა ქალიშვილებმა საუცხოვოდ დაუკრეს როიალზე, რამაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ანტრაქტების დროს იყიდებოდა ჟურნალ-გაზეთები და სხ. დარჩა 12—13 ათასი მან. ამას მიემატა ყულაბებით შეკრებილიც, ასე რომ სულ 20000 მან. იქნება, რომელიც გაიგზავნება ქ. თბილისს დანიშნულებისა მებრ. საერთოდ საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა და არც საკვირველია რადგან ინტელიგენტი ძალანი—ქალი თუ კაცი საოცარი ერთსულოვნებით ასრულებდენ დავალებულ საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ექიმი ანდრია პატარაია, რომელიც რავდენათ დოსტოქრობაშია ცნობილი, იმდენად დიდი კულტურული საქმეების მოღვაწე მოყვარულია. თუმცა ზუგდიდის მაზრაში აუარებელი საექიმო საქმე აქვს, მაინც იგი ხელოვ-

*) რედაქცია ყველა მონაწილეთ გულითად მადლობას უძღვნის.

**რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებასაც ემსახურება: შემდგარი ჰყავს ზუგდიდის სცენისათვის თვალსაჩინო მომღერალთა გუნდი; ვითარცა მუსიკის მცოდნეს საკუთარი სხვადასხვა სიმღერებიც აქვს გამოგონილი და ნოტებზე დაწერილი; ამავ დროს ტეხნიკურ-მექანიკურ ხელოვნების მცოდნეა და სხ. იგი ყოველი საერთო კულტურულ მუშაობას დაუზარლად და ჩუმად ეწევა. მიუხედავად მიმართულებისა, მას ხელოვნება უპარტიოდ სწამს და თავგამოდებით ემსახურება ხალხის საკეთილდღეოდ.

ვისურვოთ ჩვენი იტელიგენცია პარტიულობის მიუხედავად მუდამ ისევე შეერთებულიყოს, ისე გულმოდგინეთ ემუშავნოს, როგორც იყო 26 იანვარს, რათა ამით უფრო აემაღლებინოს ჩვენი კულტურულ ხელოვნური დონე.

გაუმარჯოს ურთიერთა შორის სოლიდარულ მუშაობას! ძირს ჩვეულებრივი კინკლაობა და შურიანობა!!

**პეტრე მეუნარგია**

**ქ. ხაშურში** იანვ 29 გაიმართა „თეატრი-ცხოვრება-“ს საღამო. ხაშურის სცენის მოყვარეთა კავშირმა წარმოადგინა „მსახიობის დღე“ და „ბედნიერი დღე“. წარმოდგენის დაწყებამდე საგანგებოდ მოწვეულმა იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა ორი სიტყვა: 1) „ცხოვრება და ხელოვნება“ და 2) „ქართველი მეომირი ძველად და ახლა.“ ორივე სიტყვა საზოგადოებამ დიდი ყურადღებით მოისმინა და ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. პიესებში მონაწილეობდენ: ქ-ნი ნ. ყაჭეიშვილისა, ნ. ბეკოშვილი, ბ-ნი ელ. სარია, ან. ჭელიძე, მ. კვალიაშვილი, ნ. თევდორაშვილი, აკ. ებრალიძე. ყველა მონაწილენი დამსწრეთ მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. დაესწრო დიდძალი საზოგადოება, საღამოზე, სხვათაშორის, ამერიკულ აუქციონით გაიყიდა იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. შემოსავალი 5000 მანეთამდე „თეატრი და ცხოვრება-“ს რედაქციას გადასცეს საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივი საზოგადოება და ორგანიზაციები დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ ამ საღამოს. კლუბმა ქირა არ აიღო, ხაშურის გვარდიის მუსიკამ სრულიად უფასოდ დაუკრა და ადგილობრივი წრეც ყოველის მხრით შეცდა საღამოს უკეთ ჩატარებას. *)

**გ ლი**

**ნიგოითის** საზოგადოება ექვსას კომლამდეა, აქ არის ოთხკლასიანი სასწავლებელი, დაბალი სკოლა, სამკითხველო სადღაც დუქანშია მოთავსებული. სათეატრო დარბაზი კი არსადა სჩანს. ერთი წელიწადია დაიწყეს ფულის მოგროვება სახალხო სახლის ასაგებად მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. აქ მოწინავე პირნი მოიპოვებიან, თითქო პარტიული მუშაობა სწარმოებს, მაგრამ კულტურული და განსაკუთრებით ხელოვნების — მიყუჩებულია. აქაურა თემის თავმჯდომარეა გ. ალშიბაია, კაცი შეგნებული ურიგო არ იქნება მოწინავე პირთა კრებას მოიწვევდეს და გამოარკვევდეს: 1) სახალხო სახლის ასაგებად შეკრებილ თანხას რა ბედი ეწვია, რამდენია შეკრებილი და 2) დააჩქარებინოს საჭირო თანხის შედგენა, რათა სახალხო სახლის აგებას დროით ჩაეყაროს საძირკველი მაინც.

**მგზავრი**

**ეკატერინოფელდში** (ბორჩ. მ. ზ.) სამაზრო ერობის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ერობის თვითმართველობის წინაშე, რათა მას დაეთმოს შესაფერი ბინა მოსამსახურეთა კლუბისთვის.

ამავე კავშირის გამგეობის თაოსნობით, დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც დროგამოშვებით გამართავს ქართულ წარმოდგენებს. პირველი წარმოდგენა გაიმართება 22 თებერვალს.

ვუსურვოთ ხსენებულ წრეს დასახულ დიდ მიზნების განხორციელება!

მადლობა კავშირის გამგეობას ენერგიული შრომისთვის.

**ლანი**

**ქ. ლანჩხუთში** კვირას, 8 თებერ. ლანჩხუთის რაიონის სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელი სექციის ფონდის სასარგებლოდ მსახ. ა. ჯაყელის ქ-ნნ ფაცია ასკურავას, ჯ. ჩიხლაძის, მსახიობ ვ. ასკურავას და ზ. ურშელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „ირინეს ბედნიერება“.

ბ. ნ. ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით იმღერეს გურულ — ეროვნული სიმღერები. ბ. ჩავლეიშვილმა დაუკრა ჩონგური და დაამღერა შესანიშნავი ლექსები. ხალხი ხანგრძლივი ტაშის ცემით აჯილდოვებდა. უკრავდა ადგილობრივი მუსიკა. ლადიკო წულაძემ წარმოსთქვა ორიოდე სიტყვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გვარდიას და მოქალაქეებს მოუწოდა, რომ ცოტა-ოდენი წვლილი გაეღოთ გვარდიის კულტურულ-განმანათლებელი სექციის ფონდის სასარგებლოთ.

**მ. წ — ი**

**არტისტიულ საზ-ის (აწ უკვე საქალაქო) თეატრში** თებ. 18, ქართველ. მსახიობებმა წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის, „ღალატი“. ზეინაბს ასრულებდა ნინო ჩხეიძე. ქართულ სცენის დედოფალმა მშვენივრად შეასრულა საქართველოს დედოფლის როლი. მხარს უმშვენებდა ვ. გუნია. — ოთარ ბეგი გუნიამ შექმნა და გვეშინიან, სცენიდან წასვლისას თან არ გაიყოლოს ეს როლი. დარბაისელი და ბუნებრივი ანანია იყო ვ. გამყრელიძე.

მხატვარმა მ. ჭიაურელმა სცენაზე მხატვრულად განასახიერა ერეკლე. ლამაზად შეასრულა ანჯაფარიძის ასულმა რუქაიას როლი. მ. ამაშუკელის დათოსაცარა უჭირდარა, მხოლოდ სასცენო ტეხნიკისა მეტი ცოდნა ჰმართებს. ბუნებრივი სასცენო ნიჭი აქვს. საჭიროა მეტი გრიმი, რომ „ღალატის“ დათო ქართულ კლუბის გამგე ამაშუკელს არ გავდეს. ვასო აბაშიძის ბესო კვლავ ცოცხლობს სცენაზე. ს. შანშიაშვილის სულეიმანი ძალიან გაჯავრებული იყო. საჭიროა მეტი სიდარბაისლე. ს. შანშიაშვილი საპატიო ალაგს დაიკავებს ქართულ სცენაზე. აქვს კარგი ხმა და გრძნობა. საჭიროა მეტი ბუნებრივობა. ნაზი გაიანე იყო გ. მრევლი ციციშვილის საბაც უნაკლო იყო.

სტატისტებისთვის გრიმი საჭიროა, თორემ ქულაჯებში გამოწყობილ მეპურეებს ჰგავან, ვიდრე სულეიმანის ჯარის დამმარცხებელ ქართველ მეომრებს. უადაგო სიცილიც სცენაზე შეუწყნარებელია.
საზოგადოება მრავალი დაესწრო.

**ჯილალი**

*) ყველა მონაწილეთ რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის.

**რედ.**



დ ა ვ ი თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი

ნახატი **მ. თოიძისა.**

— ესეც შენი იუბილე!

## წვრილი ამბები

**დ კლდიაშვილის იუბილეს** მრავალი საზოგადოება დაესწრო სახელმწიფო თეატრში თებერ. 15 დაწვრილებით შემდეგ.

— **გვარდიის კულტურულ** განმანათლებელმა კომისიამ გადაწყვიტა კვირაში ორჯელ სახელმწიფო თეატრში გაიმართოს ქართული წარმოდგენები გვარდიელთათვის.

**ქ. არმავირში** გარდაიცვალა რუსის დრამის მსახიობი მარიუსა პეტიპა.

**იდგილობრივ რუსის დრამის „ტარტო“-ს** დასში მონაწილეობენ შემდეგი ქართველნი; ქ ნი მირზაშვილისა (ალეკო), აბელაშვილისა, ვაჩნაძისა (დონაური), თარხან მოურავისა (დანიჩ) ბ-ნი გიორგი დავითაშვილი (დავიდოვი პრემიერთაგანი) გარსევან გომართელი (გომაროვ), ვიხრევ და სხ.

**მსახიობი და მწერალი** ნ. დიმოვი სთარგმნის რუსულ ენაზე, ი. გედევანიშვილის პიესას „მსხვერპლს“ ორი მოქმედება უკვე გადათარგმნა. პიესა ამ სეზონში დაიდგმის.

**ახლო მომავალში** ქართველი მსახიობნი ნ. დიმოვის მონაწილეობით დადგამენ გ. ერისთავის პიესას „გაყრა“.

**იტალიაში** გაიმართა ქართული გამოფენა.

**მიხ. წერეთელი** ავად ყოფილა.

**აკაკის ძეგლის** ასაგებად მოკლე ხანში თათბირი გაიმართება დამფ. კრ. ხელოვნების კომისიის და საეთნ. საზ-ისა.

**სამხატვრო ეროვნული გალერეია** არსდება თბილისში. მთავრობის დადგენილებით დებულება და შტატები უკვე დამტკიცდა.

**„აბესალომ და ეთერის“** ცალკე ნომრების ნოტები უკვე გამოვიდა გასასყიდათ.

**ახალი პიესა** იოსებ იმედაშვილისა „ნამუსიანი ხალხი“ უკვე დაიდგა ნავთლუღში პიესა ცალკე წიგნათაც გამოვიდა გასასყიდათ.

**მეფუტკრეობა** ბერტრონისა, თარგ. ლ. ცაგარლისა უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვა.

**ალ. არაბიძის და ამხ.** გამოცემანი: 1) „ქართული მოკლე გრამატიკა“. შედ. ი. ნიკოლაიშვილის მიერ, მე 4 ხე გამოც. 48 გვ. ფ. 8 მან., 2) „მსოფლიო ისტორია“. ალ. წერეთლის ნაწ. I ძველ საუკუნეთა ისტორია, 46 სურათით მე-2-ე შევსებული გამოცემა, 144 გვ. ფ. 25 მან. 3) იგივე ნაწ. II საშუალო საუკუნეები, მე-2-ე შევსებული გამოცემა, სურათებით, 96 გვ. ფ. 22 მ. 4) ძველი ისტორია, დ. უზნაძისა, წიგ. I ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, სურათებით, 181 გვ. ფ. 30 მან. ყველა წიგნი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი, მშვენივრად გამოცემული და შედარებით, ძლიერ იაფია. დაწვრილებით შემდეგ.

— **ხელოვნების კომისიამ** დაადგინა· 1) გ. იმხნელის ოჯახს დახმარება აღმოუჩინოს. 2) შეაერთოს რესპუბლიკის ყველა სამუსიკო საზოგადოებები ერთ ორგანიზაციად.

**ვაკეზე სტადიონის** გამართვის გეგმა შემუშავდა. ამფიტეატრი განზრახულია 140 ათას ალაგისათვის. **ხარჯი** გადადებულია 16 მილიონი. მოქალაქენი სურვილისამებრ უსასყიდლოდ იქნებიან მოწვეულნი სამუშაოდ. ახლო მომავალში გამოცხადდება ხეების დარგვის დღე სტადიონის გარშემო.

— **ცნობილი გიმნასტი** გ. იგნატაშვილი და საზ. „შევარდენი“ დიდ მუყაითობას იჩენენ საქართველოს ყველა კუთხეში გიმნასტიკის განსავითარებლად.

**პ ი რ ვ ე ლ ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი  რ ე ს ტ ო რ ა ნ ი**

# შამპანი!

**ამხ—ბა ძმათა კერესელიძეების და ბაქრაძეთა**

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი· რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

(წლიური)

## ახალი წიგნი ყარიბისა

ამ დღეებში გამოვა ყარიბის ახალი შრომა „წითელი წიგნი“ რუსულ ენაზე, რომელიც შეიცავს დაახლოებით 250 გვერდს. წიგნის შეძენის მსურველთ უნდა მიმართონ: 1. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში რუსთავლის ქუჩაზე, 2. კიკნაძის წიგნის მაღაზია „ახალ სიტყვაში“ და 3. „ქართველ ბეჭვდითი ამხანაგობის“ სტამბაში რუსთაველის პრ. № 26. 3—2.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.